

**Once Again on the Text of
*The Knight in the Panther's Skin***

(Abstract)

KEYWORDS: *The Knight in the Panther's Skin*, Rustvelology, Textology, Artistic Skills, Humour, Dialectics, King Vakhtang VI, Murman Tavdishvili, Plato, Aristotle, Literature, Georgia

The Knight in the Panther's Skin enjoys a special, endearing reputation, often referred to as the “Bible of the Georgians”. Within Georgian cultural memory, it occupies the status of a foundational epic, and the poem is generally placed in the flourishing context of the Georgian Renaissance, conventionally dated to the 11th and 12th centuries. Its continued presence in modern times is not the result of straightforward preservation. Rather, the work has survived through long centuries of hand-copying: calligraphers copied the epic by hand, transmitting it from one generation to the next. This means that, alongside the epic's endurance, we must also reckon with the conditions under which texts like this were transmitted. Over time, the original manuscript suffered damage, and the resulting gaps and uncertainties provided opportunities for later additions. Accordingly, questionable or plainly inauthentic lines found their way into what later readers took to be the poem's text alongside the earlier material.

Because of these factors, *The Knight in the Panther's Skin* has remained an object of philological attention. Generations of

scholars have studied the epic, and the work of clarification has not ended: research continues, with particular emphasis on textual criticism – identifying where the transmitted text may have been altered, corrupted, or expanded, and on what grounds. The present article belongs precisely to this scholarly endeavour. The author, introduced not only as a well-known modern classicist but also as a distinguished scientist and a prominent public figure in Georgia, presents the outcome of sustained research and focuses on one central concern: the text of *The Knight of the Panther's Skin* itself.

In the course of the article, the author explains that the study of the epic constitutes a main direction of his scientific activity, and he therefore returns to it again, offering further interventions in the form of corrections and notes. Specifically, he lays out one hundred proposed corrections to the poem's text. These are not offered as arbitrary changes, nor as a substitute for wider scholarship, but as concrete contributions intended to bring the reader closer to a version of the epic that is more coherent and stylistically appropriate. At the same time, the author is careful to define the limits of what his proposals can claim.

This is where his stated position becomes methodologically important. He emphasises, with deliberate humility, that his corrections do not pursue an absolute restoration of “the truth” as he does not present emendation as the recovery of a single, unquestionably original wording. Instead, the underlying standard is different and more practical: if, in his judgement, at least ten out of the hundred corrections can improve the artistic value of the text, and if those improvements are not inappropriate for the established style of *The Knight in the Panther's Skin*, then he suggests that the purpose of his contribution has been fulfilled. The article, therefore, invites the reader to evaluate textual change not by a demand for perfect certainty, but by its literary effectiveness and its fit with the poem's characteristic manner.

კიდევ ერთხელ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტზე

საკვანძო სიტყვები: ვეფხისტყაოსანი, რუსთველოლოგია, ტექსტოლოგია, მხატვრული ოსტატობა, იუმორი, დიალექტიზმი, ვახტანგ VI, მურმან თავდიშვილი, პლატონი, არისტოტელე, ლიტერატურა, საქართველო

„ვეფხისტყაოსანზე“ ზრუნვა ჩემი მეცნიერული საქმიანობის მთავარ მიმართულებად მიმაჩნია. სხვადასხვა დროს დაეწერე სტატიები: „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული ოსტატობის ზოგიერთი საკითხი“, „ვეფხისტყაოსნის“ იუმორი“ და „დიალექტიზმები „ვეფხისტყაოსანში“.

1987 წლიდან ჟურნალ „კრიტიკაში“ შემოვიღე რუბრიკა: „როგორ ვპატრონობთ მარგალიტს...“ ყოველ ნომერში ვაქვეყნებდი რეპლიკებს იმის შესახებ, თუ როგორ შერყვნეს რუსთაველის ტექსტი თვითმარქვია ტექსტოლოგებმა. რეპლიკათა ავტორები იყვნენ ლევან სანიკიძე, შოთა ნიშნიანიძე, სოსო სიგუა, მურმან თავდიშვილი და თქვენი მონა-მორჩილი. „კრიტიკის“ პათოსი მიმართული იყო „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი აკადემიური კომისიის წინააღმდეგ, რომელიც პერიოდულად აქვეყნებდა აღმაშფოთებელ „შესწორებებს“ რუსთაველის გენიალური პოემისას.

2016 წელს მკითხველმა მიიღო „ვეფხისტყაოსნის“ საიუბილეო გამოცემა, რომელიც რუსთველოლოგიაში შევიდა მურმან თავდიშვილისეული გამოცემის სახელწოდებით. ეს გახლავთ ყველაზე სრული და ტექსტოლო-

გიურად სწორი „ვეფხისტყოსანი“, რაც გამოცემულა ვახტანგ VI-ის გამოცემიდან დღემდე.

პროფესორმა მურმან თავდიშვილმა განუზომელი ამაგი დასდო რუსთაველის გენიალურ პოემას. მან გამოიძია და „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტს დაუბრუნა ცრუმეცნიერთა მიერ სხვადასხვა დროს გაძევებულ-დაფანტული 60 სტროფი. ამასთან ერთდ, მეცნიერულად დაასაბუთა და გონიერი მკითხველისათვის უეჭველი გახადა პოემიდან უსამართლოდ ამოღებული მისი ორგანული ნაწილი, ე.წ. ინდოხატაელთა ამბავი.

მურმან თავდიშვილის წინაშე ურთულესი ამოცანა იდგა. იგი თავის თანამოაზრეებთან ერთად (რომელთა შორისაც, არცთუ უკანასკნელი, ამ სტატიის ავტორიც იყო) უნდა შებრძოლებოდა ცრუმეცნიერულ მონსტრს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენ აკადემიურ კომისიას“, რომელმაც 1988 წელს გამოსცა თავისი მრავალწლიანი შრომის ნაყოფი – თავიდან ბოლომდე შერყვნილი „ვეფხისტყაოსანი“. ხალხური ლექსის პათოსი: „წაეკითხათ, ვერა ეგრძნოთ“, სწორედ ამ კომისიაზე შეიძლებოდა გავრცელებულიყო. თავი რომ გაეანებოთ იმ გარემოებას, რომ „კომისიას“ ზურგს უმაგრებდა ერთ დროს სახელოვანი საქართველოს მეცნიერებათა აკადემია; ამ კომისიის წევრები იყვნენ სწავლულები, ქართული ფლოლოგიისა და, საერთოდ, მეცნიერებათა აკადემიის შემქმნელთა შორის რომ მოიხსენიებოდნენ.

მურმან თავდიშვილი არ შეეპუა კომისიის გახმაურებულ სახელს, ფარად იფარა უძველესი ანტიკური სიბრძნე: „პლატონი ჩემი მეგობარია, მაგრამ ჭეშმარიტება კიდევ უფრო დიდი მეგობარია“ (*Amicus Plato, sed magis amica veritas*)¹ და გაბედულად შეუტია ტექსტოლოგებს „ვეფხისტყაოსნის“ გადასარჩენად.

2016 წლის გამოცემის რედკოლეგიის წევრი მეც გახლდით და ჩემი დაჟინებული ცდიტაც გასწორდა რამ-

დენიმე თვალშისაცემი ტექსტოლოგიური ლაფსუსი. მაგალითად: კომისიისეული: „ვემობ კაცსა უაუგოსა“ – „ვემობ კაცსა აუგიანსა“-დ, კომისიისეული: „გესმის, ჩემი საუბარი?“ — „გესმას, ჩემი ნაუბარი“-თ, კომისიისეული: „იგი წარსდების, სხვა მოვა“ – „იგი წავა და სხვა მოვა“ და ა.შ.

ამჯერად ყურადღება ერთ გარემოებაზე უნდა გავამახვილო; პოემაში ვკითხულობთ: „ქაჯთ გაეხარნეს, ხმამაღლა იყივლეს „იპი, იპია“. ვფიქრობ, აქ სიტყვა „ხმამაღლა“ სიტუაციას არ შეესაბამება და მხატვრულადაც მოიკოჭლებს. „ყივილი“ მხოლოდ ხმამაღლა შეიძლება, „ხმადაბლა ყივილი“ არ არსებობს. ამიტომაც გადავწყვიტე, „ხმამაღლა“ შემეცვალა სიტყვით „შეხლტუნვით“. მივიღეთ სტრიქონი: „ქაჯთ გაეხარნეს შეხლტუნვით იყივლეს „იპი, იპია“. მითუმეტეს, რომ სიტყვა „შეხლტუნვით“ მე ციდან არ მომიკრეფია: იგი „ვეფხისტყაოსანში“ სხვადასხვა ადგილზე, რამდენჯერმე გვხვდება. დღეს ველარაგინ დაადგენს „ხმამაღლა იყივლეს“ გადამწერ-ინტერპოლატორთა ლაფსუსია, თუ თვით ავტორს ეწერა ასე. ფაქტი ისაა, რომ სტრიქონმა უფრო ავთენტური და მაღალმხატვრული იერი შეიძინა.

ამით შეთამამებულმა, „ვეფხისტყაოსნის“ სრული ტექსტის გამოცემის შემდეგაც არ მოვიშალე ტექსტზე ჩემებური მწერლურ-მეცნიერული დაკვირვება (უკეთესს რას დააკვირდები!). ...და აი, კიდევ ერთი „თავსატეხი“. „ვეფხისტყაოსნის“ ყველა გამოცემაშია: „მოვიდა ჯოგი ნადირთა ანგარიშიუწვდომელი“. აქ „მოვიდა“ არ მომეწონა. ვისაც უნადირია, დამეთანხმება, რომ მარეკთა და მეძებართა ყეფა-გნიახით წამოგდებულ-დამფრთხალი ნადირი კი არ „მოვა“, არამედ „მოვარდება“. ამიტომაც, ხომ არ სჯობს „მოვიდა ჯოგი ნადირთა“, შევცვალოთ ასე: „მოვარდა ჯოგი ნადირთა“. ამ შემთხვევაშიც დაეჭვებული ვარ; პოემის სულმნათ ავტორს, იქნებ, „მოვარდა ჯოგი

ნადირთა“ ეწერა და იგი გადამწერლებმა, მათ დაუნებურად, „მოვიდა ჯოგი ნადირთა“-თი შეუცვალეს?

ასე თუ ისე... დმერთმა განსაჯოს. მე კი ამ სტატიით „ვეფხისტყაოსნის“ რამდენიმე ჩემეულ „შესწორებას“ შემოგთავაზებთ. მითუმეტეს რომ მურმან თავდიშვილისეული „ვეფხისტყაოსანი“ მიზერული ტირაჟით გამოიცა და იგი ფართო მკითხველისა თუ გამომცემლებისათვის ხელმიუწვდომელია. ამას ვაკეთებ იმ აღშფოთებით მოტივირებული, რასაც იწვევს ჩემში უკვდავი პოემის ლამის ყოველთვიური, მდიდრულზე მდიდრული გამოცემები „ვეფხისტყაოსნის“ შერყენილი ტექსტით.

მაშ, რისთვის დაშვრა უნიჭიერესი რუსთველოლოგი მურმან თავდიშვილი, თუ მისეულ, შედარებით სრულყოფილ ტექსტს გამომცემლები გვერდზე გადაებდნენ და ისევ ძველ, დამახინჯებულ „ვეფხისტყაოსანს“ მიაწვდიდნენ მკითხველს? ასე რომ... წინ მიდევს მურმან თავდიშვილისეული „ვეფხისტყაოსანი“ და გთავაზობთ ჩემეულ შესწორებებს.

რასაკვირველია, არცერთ ამ შესწორებას ჭეშმარიტების პრეტენზია არ აქვს, მაგრამ თუ ასი შენიშვნიდან ათი მაინც გააუმჯობესებს ტექსტის მხატვრულ ღირებულებას და, თანაც, „ვეფხისტყაოსნის“ სტილისთვისაც არ იქნება შეუფერებელი, ჩემს მისიას შესრულებულად ჩავთვლი.

შენიშვნების თანმიმდევრობა ასეთი გახლავთ: სტროფის ნომერი, მითითებულ გამოცემაში² დაბეჭდილი ვერსია და შემდეგ – რა უნდა იყოს, ჩემი მოკრძალებული თვალსაზრისით.

სტროფი 13:

მართ აგრევე მეღექსესა – ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა. →
მართ **აგრეთვე** მეღექსესა – ლექსთა გრძელთა თქმა და **ხევეა**.

სტროფი 19:

ჩემი აწ სცანით ყველამან, მას ვაქებ, ვინცა მიქია; →

ჩემი აწ სცანით **ყოველმან**, მას ვაქებ, ვინცა მიქია;

სტროფი 22:

მით რომე შმაგობს მისისა ვერმიხდომისა წყენითა. →
მით რომე შმაგობს მისისა **ვერმიხდომისა** წყენითა.

სტროფი 43:

ნუთუ ვით ვპოვო წამალი მე ჩემი ფერგამქრქალისა! →
ნუთუ **მით** ვპოვო წამალი მე ჩემი, ფერგამქრქალისა!

სტროფი 46:

თინათინ მიჰყავს მამასა პირითა მით ნათელითა. →
თინათინ **მოჰყავს** მამასა პირითა მით ნათელითა.

სტროფი 58:

თავსა ზის პირმზე ავთანდილ, მჭვრეტაგან მოსანდომია. →
თავსა ზის პირმზე ავთანდილ მჭვრეტაგან **მოსანდომია**.

სტროფი 59:

თქვეს, თუ: „მეფე ცუდსა რასმე გონებასა ჩავარდნილა. →
თქვეს, თუ: „მეფე ცუდსა რასმე **გუნებასა** ჩავარდნილა.

სტროფი 62:

ჩემი ზრახვა სიძუნწისა, ტყუვის, ვინცა დაიყბედნა, →
ჩემი ზრახვა სიძუნწისა, **ტყუის**, ვინცა დაიყბედნა,

სტროფი 70:

ბრძანეთ, ვისროლოთ, ნუ იქო შედრეკილობა-კლებასა, →
ბრძანეთ, ვისროლოთ, ნუ **იქთქო** შედრეკილობა-კლებასა,

სტროფი 77:

მოვიდა ჯოგი ნადირთა ანგარიშმიუწვდომელი. →
მოვარდა ჯოგი ნადირთა ანგარიშმიუწვდომელი.

სტროფი 78:

მიჰხოცდეს და მოისროდეს, მინდორს სისხლთა მოასხმიდეს. →
მიჰქროდეს და **მიისროდეს**, მინდორს სისხლთა **მიასხმიდეს**.

სტროფი 79:

დახოცეს და ამოსწევადეს, ცათა ღმერთი შეარისხეს. →
დახოცეს და **ამოსწევადეს**, ცათა ღმერთი შეარისხეს.

სტროფი 80:

იგი მინდორი დალიეს, მართ მათგან განარბენია. →
იგი მინდორი **გაღიეს**, მართ მათგან განარბენია.

სტროფი 82:

ვისგან ნაკრავნი გვინახვან მხეცნი ვერ წაღმა წარებით. →
ვისგან ნაკრავნი **გვინახავნ** მხეცნი ვერ წაღმა წარებით.

სტროფი 96:

ცხენსა შეჯდა, – მონათამცა საუბარნი რად იყურნა. →
ცხენსა შეჯდა, – მონათამცა საუბარნი **არ** იყურნა.

სტროფი 101:

აგრე კვალწმიდად წახდომა კაცისა, ვითა დევისა, →
აგრე კვალწმიდად **წახტომა** კაცისა, ვითა დევისა,

სტროფი 102:

ამად მიეო სიმწარითა სიამისა დანავლლება. →
ამად მიეო სიმწარითა სიამისა **დანავლლება**.

სტროფი 193:

ასრე რომე ცასა ქვეშე არ დაურჩა, არ იარა, →
ასრე რომე **ცისა** ქვეშე არ დაურჩა, არ იარა,

სტროფი 201:

„დღეთა მეტად ნუ მოჰკედები, გული ჩემი ნუ დადნების, →
დროზე ადრე ნუ მოჰკედები, გული ჩემი ნუ დადნების,

სტროფი 205:

ისრითა მოკლის ნადირი, როსტომის მკლავუგრძესითა, →
ისრითა მოკლის **ქურციკი**, როსტომის მკლავუგრძესითა,

სტროფი 215:

ასრე სულთქმით და ვაებით მით ვართ, ცრემლისაცა დენით. →
ასრე სულთქმით და ვაებით მით ვართ, **ცრემლისა დადენით**.

სტროფი 216:

ჩემმან შედეგმან ტაიჭი მისი მით აქო ხსენებით. →
ჩემმან **შემდეგმან** ტაიჭი მისი მით აქო ხსენებით.

სტროფი 228:

მე იმა ყმისა საკრავად ხრმალსამცა ვით მიყვევნები! →
მე იმა ყმისა საკრავად ხრმალსამცა ვით **მივცე ნები**!

სტროფი 238:

ავთანდილ ახლოს კვლა ნახა სახე მისავე კაცისა, →
ავთანდილ ახლოს კვლა ნახა სახე **იმავე** კაცისა,

სტროფი 255:

„ვერ გიცნობ ვინ ხარ, ვის გითხრნე სიტყვანი მოსანდონია?“ →
„ვერ გიცნობ ვინ ხარ, ვის **გითხრა** სიტყვანი მოსანდონია?“

სტროფი 269:

შემოჰყიელა: „არ გელოდე, სად გაგექცე, სად წავიდე?“ →
ამოჰყიელა: „არ გელოდე, სად გაგექცე, სად წავიდე?“

სტროფი 272:

თვით თუ არ გითხრობს, არ ითქმის, არვისგან დაიჯერების, →
თვით თუ არ გითხრობს, არ ითქმის, არვისგან **გაიგონების**,

სტროფი 275:

თვით გაიამბოს საქმე მისი, საყვარელსა გაახარო. →
თვით გაიამბოს საქმე მისი, **საყვარელი** გაახარო.

სტროფი 303:

ვერ ნახეს შენი ნახული ვერცა ყმა, ვერცა ბერია: →
ვერ ნახეს შენი **მნახველი** ვერცა ყმა, ვერცა ბერია:

სტროფი 307:

რას მაქნევდით, რა გინდოდა, ერთმანეთსა რათა ვჰგვანდით? →
რას **ვაქნევდით**, რა გინდოდა, ერთმანეთსა რითა ვჰგვანდით?

სტროფი 315:

მაგრა ჩემსა რა გაიამბობს, გამოჭრილვარ ასრე თუ რად! →
მაგრა ჩემსა რა გაიამბობს, **გამოჭრილვარ** ასრე თუ რად!

სტროფი 317:

თუ რას სცნობს, ვეჭო ამისგან თქვენსა რასამე ლხენასა, →
თუ რას სცნობს, **ვეჭობ** ამისგან თქვენსა რასამე ლხენასა,

სტროფი 321:

ღმერთმან ერთი რათ აცხოვნოს, თუ მეორე არ წაწყმიდოს! →
ღმერთმან ერთი **რით** აცხოვნოს, თუ მეორე არ წაწყმიდოს!

სტროფი 326:

ჰინდოეთს შვიდთა მეფეთა ყოველი კაცი ხართ მცნობელი: →
ჰინდოეთს შვიდთა **სამეფოს** ყოველი კაცი ხართ მცნობელი:

სტროფი 339:

საჭურჭლე გასცეს, აივსნეს ლაშქარნი საბოძვართა. →
საჭურჭლე გასცეს, **აავსნეს** ლაშქარნი საბოძვართა.

სტროფი 360:

ზღუდელ მოვლიდა ზურმუხტი, ხე ალვა დარიგებითა. →
ზღუდელ **მოვლოდა** ზურმუხტი, ხე ალვა დარიგებითა.

სტროფი 382:

წიგნსა შევატყევ, ღამოდა შეყრისა მოსწრაფებასა; →
წიგნსა **შევატყევ**, **ღამობდა** შეყრისა მოსწრაფებასა;

სტროფი 398:

მით პირი ჩემი გაბროლდა და ღაწვი გამელაღვოდა. →
მით პირი ჩემი გაბროლდა და ღაწვი **გამელაღლოდა**.

სტროფი 450:

„დიდი მაცო თქვენი ვალი, ჩემგან ძნელად გარდიხდების, →
„დიდი **მაქესო** თქვენი ვალი, ჩემგან ძნელად გარდიხდების,

სტროფი 456:

განგებაა, დღესცა მომკლავს, ქვემცა სადა დავემალე? →
თუ ღმერთს უნდის, დღესცა მომკლავს, ქვემცა სადა
დავემალე?

სტროფი 459:

მას დღესა ჩემი მეგრძოლი ჩემმანვე ხრმალმან დაფითა. →
მას დღესა **ჩემთან მეგრძოლნი** ჩემმანვე ხრმალმან **დაფლითა**.

სტროფი 481:

მე ხატაელთა მიმუხთლეს, – თუმცა მათ ეცა ზიანად, – →
მე ხატაელთა მიმუხთლეს, – თუმცა მათ **ექცა** ზიანად, –

სტროფი 513:

თუმცა მიგდის ღვარი ცრემლთა, მაგრა ცუდად არ იდენო. →
თუმცა **მოგდის** ღვარი ცრემლთა, მაგრა ცუდად არ იდენო.

სტროფი 514:

იგი მე მომცენ რიდენი, რომელნი წელან გშვენოდეს. →
იგი მე **მომეც** რიდენი, რომელნი წელან გშვენოდეს.

სტროფი 523:

რომე მართებს სიხარული, ეგ ზომცა რა ვიხარე?! →
რომე **მმართებს** სიხარული, ეგ ზომცა რა ვიხარე?!

სტროფი 542:

გჰკადრე: „რა გკადრო პასუხი მის ჩემგან მე უიცისა?“ →
გჰკადრე: „რა გკადრო პასუხი მის ჩემგან მე **უიცისა**?“

სტროფი 548:

ვა, სოფელო უხანო, რად ზი სისხლთა ჩემთა ხერეგად? →
ვა, სოფელო უხანო, რად ზი სისხლთა ჩემთა **ხერეგად**?

სტროფი 566:

ჭირი ბევრჯელ ვიათასე, ღხინი ჩემი ვაერთხელი. →
ჭირი **ბევრჯერ** ვიათასე, ღხინი ჩემი ვაერთხელი.

სტროფი 568:

გარდავიხადოთ ქორწილი, ხამს ვითა დასა, სრულია. →
გარდავიხადოთ ქორწილი, ხამს ვითა **გემართებს**, სრულია.

სტროფი 570:

შენ აქა ნახე, კმარიან აქა ნახვისა კმანია. →
შენ აქა ნახე, კმარიან აქა ნახვისა **კმანია**.

სტროფი 574:

ანუ გამწირე, მიტყუე და კვლაცა მოიმცთომარე?! →
ანუ გამწირე, **მატყუე** და კვლაცა მოიმცთომარე?!

სტროფი 600:

წმიდისა წყლისა ვერ ნახოს მყინვარე, ვერცა ღიპია, →
წმიდისა წყლისა ვერ ნახოს, **ვერცა მყინვარე** ღიპია,

სტროფი 609:

მისნი ვერა ვცნენ ამბავნი ვერცა დრამისა წინანი. →
მისნი ვერა ვცნენ ამბავნი ვერცა დრამისა **წინანი**.

სტროფი 612:

შემოირბევდა ზღვის პირპირ, მას თურმე წყლული სტკიოდა; →
შემოირბენდა ზღვის **პირსა**, მას თურმე წყლული სტკიოდა;

სტროფი 627:

ვუხმობ ყვავთა და ყორანთა, მათ ზედა ვაქნევ ხადილსა, →
ვუხმობ ყვავთა და ყორანთა, მათ ზედა ვაქნევ **სადილსა**,

სტროფი 636:

მოიტანა მხარდაკრულნი ერთმან ორნი, არ დაყარნა. →
მოიტანა მხარდაკრულნი ერთმან ორნი, არ დაყარნა.

სტროფი 653:

მაშა, რათგან შეგემეცნე, ამის მეტი რად რა მინა? →
მაშა, რათგან შეგემეცნე, ამის მეტი **არა** მინა!

სტროფი 657:

ჩვენ გავგზავნეთ მენავენი, რომელთაც კვლა უვლია, →
ჩვენ **გავგზავნეთ** მენავენი, რომელთაც კვლა უვლია,

სტროფი 661:

ზღვათა-ნავი და კატარღა, თემ-თემად, გზათა მტკეპნელი, →
ზღვათა-ნავი და კატარღა, თემ-თემად, გზათა **მტკეპნელი**,

სტროფი 673:

აწ წადით და მე დამაგდეთ, ეტერენით თავთა თქვენთა, →
აწ წადით და მე დამაგდეთ, **ეპატრონეთ** თავთა თქვენთა,

სტროფი 719:

სხედან საესენი ღხინითა, ორთავე შესატყვისითა. →
სხედან საესენი **ღხენითა**, ორთავე შესატყვისითა.

სტროფი 725:

იტყვის, „რა ვუთხრა პასუხი მას სანთებლისა თნებისა, →
იტყვის, „რა **უთხარ** პასუხი მას სანთებლისა თნებისა,

სტროფი 779:

ვიტყვი, მოგკედე, არა მგამა, ჩემი მზეცა თქვენ მოგხედების! →
ვეტყვი, მოგკედე, არა მგამა, ჩემი მზეცა თქვენ მოგხედების!

სტროფი 828:

გარდამხდეს და შემოვიქცე, აღარ დამრჩეს გული ავლად, →
გარდამხდეს და შემოვიქცე, აღარ დამრჩეს გული **ვალად**,

სტროფი 831:

კაცი ჯაბანი რათა სჯობს დიაცსა, ქსლისა მბეჭეველსა? →
კაცი ჯაბანი **რითა** სჯობს დიაცსა, ქსლისა მბეჭეველსა?

სტროფი 848:

შენ მანდით მესრი ისარსა, ერთიცა არ ამცილდების, →
შენ მანდით **მესვრი** ისარსა, ერთიცა არ ამცილდების,

სტროფი 868:

რა მიეახლის დაბნედად, ვერ ხელყვის გაძვრად ენისად. →
რა მიეახლის დაბნედად, ვერ ხელყვის **დაძვრად** ენისად.

სტროფი 868:

რა გაემართის, არ იცის, მას თუ არბევდის ცხენი სად. →
რა გაემართის, არ იცის, მას თუ **არბენდის** ცხენი სად.

სტროფი 879:

აწ მისი არა არ ვიცე, არ ნახვით, არ ამბავითა. →
აწ მისი არა **ვიცი რა**, არ ნახვით, არ ამბავითა.

სტროფი 887:

მას პაემნამდის მოვიცდი, რაზომცა გამდის რუები, →
მის პაემნამდის მოვიცდი, რაზომცა გამდის რუები,

სტროფი 894:

არ ვინანი გარდასრულსა, ბრძენთა სიტყვა გაგაადრო. →
არ ვინანი გარდასრულსა, ბრძენთა სიტყვა **გაგაავდრო**.

სტროფი 904:

მუნ აგრე გუღსა უნთებდა ცეცხლი მცხინვარე, ცხებული. →
მუნ აგრე გუღსა უნთებდა ცეცხლი **მცხუნვარე**, ცხებული.

სტროფი 906:

ხელითა ცრემლსა უწურავს, თვალთა ავლებდა სახელსა, →
თვალთაგან ცრემლსა უწურავს, თვალთა ავლებდა სახელსა,

სტროფი 919:

მართ გარდაწყვეტით იცოდი, გეტყვი მართალსა პირასა, →
მართ გარდაწყვეტით **იცოდე**, გეტყვი მართალსა პირასა,

სტროფი 919:

დამშლიან ჩემნი კავშირნი, შევრთვივარ სულთა სირასა. →
დამშლიან ჩემნი კავშირნი, შევრთვივარ სულთა **პირასა**.

სტროფი 924:

სადა ინდონი ბროლ-ვარდსა სარვენ გიშრისა სარითა, →
სადა **არაბნი** ბროლ-ვარდსა სარვენ გიშრისა სარითა,

სტროფი 953:

ტარიელ ეტყვის: „ჰე, დაო, მით ცრემლი აქა მდინია“, →

ტარიელ ეტყვის: „ჰე, დო, რაც ცრემლი აქა მდენია“,

სტროფი 960:

ერთმანერთსა გაუგონნეს ფიცნი, პირველ დანაპირნი. →
ერთმანერთსა **მოაგონნეს** ფიცნი, პირველ დანაპირნი.

სტროფი 968:

მისით კითხვით წამოსრულვარ, არ მთრვალურად, არ მახმურად, →

მისით **სიტყვით წამოვსულვარ**, არ მთრვალურად, არ მახმურად,

სტროფი 971:

აქა ქვაბსა მომნახევდი მე, ამბავთა ყოვლგნით მკრეფსა; →
აქა ქვაბსა **მომიცდიდე** მე, ამბავთა ყოვლგნით მკრეფსა;

სტროფი 985:

იგი ნახნეს დაღრეჯილნი, მზე დაიდრეჯს მისით ღრეჯით. →
იგი ნახნეს დაღრეჯილნი, მზე დაიდრეჯს **მათი** ღრეჯით.

სტროფი 986:

სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადათ ძირსა?! →
სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი **სადით** ძირსა?!

სტროფი 1003:

რა ესმოდის მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდნიან, →
რა ესმოდის მღერა ყმისა, სმენად მხეცნი **მოვიდიან**,

სტროფი 1005:

ყმა მტირალი სამოცდათ დღე ზღვისა პირსა მივა გზასა; →
ყმა მტირალი სამოცდათ დღე **ზღვის** პირსა მივა გზასა;

სტროფი 1013:

მინდორს ნახა სპა ღაშქართა და ნადირთა ჰგვანდეს
მსვრელსა, →
მინდორს ნახა სპა ღაშქართა **მუნ** ნადირთა ჰგვანდეს
მსვრელსა,

სტროფი 1035:

მიათვამს და აგრე არჩენს იგი, ერთგან ვერდამდგომი, →
მიათმევს და აგრე არჩენს იგი, ერთგან ვერდამდგომი,

სტროფი 1049:

შესამოსელი შემოსეს დრაჰკნისა ბევრათასისა, →

შესამოსელი შემოსეს დრაჰკნისა ბევრათასისა,

სტროფი 1076:

განგებაა, არ დავრჩები, ღახვარნია ჩემთვის მზანი; →
თუ ღმერთს უნდა, არ დავრჩები, ღახვარნია ჩემთვის მზანი;

სტროფი 1095:

მე საგატროსა დავიწყებ, ჩავიცვამ ჯუბა-ჩიბასა; →
მე **გატრობასა** დავიწყებ, ჩავიცვამ ჯუბა-ჩიბასა;

სტროფი 1109:

ყმა მოვა, მისი მჭვრეტელთა, შუქი მზედ გაიცადიან. →
ყმა მოვა, **მისთა** მჭვრეტელთა, შუქი მზედ გაიცადიან.

სტროფი 1117:

ზოგჯერ უხმის ფატმან მისა, ზოგჯერ იყვის ფატმანისსა; →
ზოგჯერ უხმის **ფატმანს მისსა**, ზოგჯერ იყვის ფატმანისსა;

სტროფი 1131:

ბინდისფერია სოფელი, ესე თურ ამად ბინდლების, →
ბინდისფერია სოფელი, **უფრო და უფრო** ბინდლების,

სტროფი 1135:

ლიაცსა წყენა შეატყვა, ნახა შესვლითა, შე-, ვითა, →
ლიაცსა წყენა **შეატყო**, ნახა შესვლითა, შე-, ვითა,

სტროფი 1149:

დიდროვანიტა ტურფითა, მრავლითა, თანისთანითა. →
დიდროვანიტა **ტუფითა**, მრავლითა, თანისთანითა.

სტროფი 1163:

მუნ შევიტანენ ხათუნნი იგი, ჩემ თანა ხლებულნი. →
მუნ **შევიყვანენ** ხათუნნი იგი, ჩემ თანა ხლებულნი.

სტროფი 1169:

უკმოვიხაშ კარი, ჩემგან მათი ჭვრეტა ვერა ცნესა. →
უკმოვიხშ კარი, **ჩემგანა** მათი ჭვრეტა ვერა ცნესა.

სტროფი 1196:

„არა ვიცოი, მიმიშვით!“ – ეს ოდენ გვითხრა ენითა. →
„არა ვიცოი, **შემეშვით!**“ – ეს ოდენ გვითხრა ენითა.

სტროფი 1232:

მისცა, უთხრა: „გამომიღეთ, გეაჯები გუღმხურვალი, →
მისცა, უთხრა: „**გამაპარეთ**, გეაჯები გუღმხურვალი,

სტროფი 1242:

ნეტარბი ვინ სისხლი მისი შემახვრიტა ერთი თასი! →
ნეტარბი ვინ სისხლი მისი **შემახვრიტა** ერთი თასი!

სტროფი 1296:

ფატმანს უხმო: „მოდი, მნახე, მარტო ვარო, თავის წინა“. →
ფატმან უხმო: „მოდი მნახე, მარტო ვარო, თავის წინა“.

სტროფი 1317:

მან მოახსენა: „ვიკადრებ, რასცა ოდენ ვარ მცეხნელი“, →
მან მოახსენა: „ვიკადრებ, **რასიც** ოდენ ვარ **მცეხნელი**“,

სტროფი 1410:

ორნივე გპირნი მოყმენი, მამაცობისა ცნობილნი; →
ორნივე გპირნი მოყმენი, **მამაცობითა** ცნობილნი;

სტროფი 1411:

ნურადინის ქვეყანამდის შეისვინ მათ უკანა; →
ნურადინის ქვეყანამდის შეისვინ **მას** უკანა;

სტროფი 1428:

მოვიდეს, აჩნდა ქალაქი, მცველთა ვერ დასთვალვიდინ, →
მოვიდეს, **დაჩნდა** ქალაქი, მცველთა ვერ **დასთვალვიდია**,

სტროფი 1434:

აბჯრითა გავლა არად მჩანს ჭირად, გატანა ფარისა; →
აბჯრითა გავლა არად **მიჩნს**, **არცა** გატანა ფარისა;

სტროფი 1439:

შიგანთა მცველთა მოვიცლი მე უნახავად ჭირისად, →
შიგანთა მცველთა **დავხოცავ** მე უნახავად ჭირისად,

სტროფი 1466:

ზღვათა ქალაქსა დამართეს, თუცა გზა მუნიტ გრძელია, →
ზღვათ ქალაქს **გამოემართეს**, თუცა გზა მუნიტ გრძელია,

სტროფი 1490:

აწ გაუსრულა ყოველი მან მისი ნაერთგულები. →
აწ გაუსრულა ყოველი **მას** მისი ნაერთგულები.

სტროფი 1493:

„რომე ღმერთმან გაგვახარნა, – კურთხეულ არს მის ღმერთება!

→

„რომე ღმერთმან **გაგვახარა**, – კურთხეულ არს მის ღმერთება!

სტროფი 1511:

აწ მითხარ, ჩემგან რა გინდა, ანუ რათ მოგეხმარები? →

აწ მითხარ, ჩემგან რა გინდა, ანუ **რით** მოგეხმარები?

სტროფი 1517:

მებრძოლნი თქვენნი მოგესრნენ, არვინ ჩნდეს მუნ მეომარე. →

მუნ მტერნი თქვენნი მოგესრნენ, არვინ ჩნდეს მუნ მეომარე.

სტროფი 1519:

ეგრევე მანცა სამისოდ ნახნეს ძალ-გულნი ძმისანი! →

ეგრევე მანცა სამისოდ **ნახოს** ძალ-გულნი ძმისანი!

სტროფი 1531:

ღმერთი კარგსა მოაფლინებს, არ, ბოროტსა არ დაბადებს, →

ღმერთი კარგსა მოაფლინებს **და** ბოროტსა არ დაბადებს,

სტროფი 1585:

ფერი ჰკრთა და გაუფიცხა შე და გამო გულმან კრთომა, →

ფერი ჰკრთა და **გაუხშირა** შე და გამო გულმან კრთომა,

სტროფი 1586:

თქვენით ხელითა მეღირსოს მიწათა შემომყრელობა →

თქვენის ხელითა მეღირსოს მიწათა შემომყრელობა

სტროფი 1602:

შესთვალა: შენი სიახლე კმა ჩემად ღხინად ყოველად →

შესთვალა: **ყოფნა შენს ახლოს** კმა ჩემად ღხინად ყოველად

სტროფი 1606:

არ, ღია გინდა დამაგდო, წახვიდე ჩემად მზრახავად! →

აქ, ღია გინდა დამაგდო, წახვიდე ჩემად მზრახავად!

სტროფი 1640:

გამოგვიშენა, წაედითო, არა გვიყო ყოლა ავი. →

გამოგვიშეა, წაედითო, არა გვიყო ყოლა ავი.

სტროფი 1654:

უმართლე ხარ, ნუ მაცოცხლებ და წამიღონ მკედრი მე, წა. →

უმართლე ხარ, ნუ მაცოცხლებ **დე** წამიღონ მკვდარი მე, წა.

სტროფი 1658:

ვით ნინეველნი ისხმიდეს თავსა მტვერსა და ნაცარსა, →
ვით ნინეველნი **იყრიდეს** თავსა მტვერსა და ნაცარსა,

სტროფი 1668:

რომე სდის ცრემლი თვალთაგან, კვლა ცეცხლი უფრო
ცხელია. →
რომე სდის ცრემლი თვალთაგან, კვლა **ცეცხლზე** უფრო
ცხელია.

სტროფი 1670:

მუნა კაცთა ვერ ვხედევდი გაცინებით, მოღიმართა. →
მუნა კაცთა ვერ **ვხედავდი** გაცინებით, მოღიმართა.

სტროფი 1673:

შესამოსლითა დაგაგდე, აწ შაოსანსა გხედაო. →
წითელ-ყვითლითა დაგაგდე, აწ შაოსანსა გხედაო.

სტროფი 1680:

დედოფალმან შეიმოსა, შავი ძაძა აიხადა. →
დედოფალი შეიმოსა, შავი ძაძა აიხადა.

სტროფი 1698:

კვლა ფრიდონცა დაეთხოვა: „წავიდეო სახლსა ჩემსა, →
კვლა **ფრიდონიც** დაეთხოვა: „წავიდეო სახლსა ჩემსა,

სტროფი 1707:

ავთა მქმნელნი დააშინნეს, კრავნი ცხვართა ვერა სწოვდეს, →
ავთა მქმნელნი დააშინნეს, კრავნი ცხვართა **მშვიდად** სწოვდეს,

სტროფი 1708:

ვის გრძლად ჰგონია, მისთვისაც არის ერთისა წამისა. →
ვის გრძლად **ჰქონია**, მისთვისაც არის ერთისა წამისა.

სტროფი 1709:

ესე ამბავი გავლექსე მე მათად საკამათებლად. →
ესე ამბავი გავლექსე მე მათად **გულსაამებლად**.

ავტორის მინაწერი: კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ
ამ შენიშვნებს ვწერ არა საბოლოო ჭეშმარიტების პრე-

ტენზიით, არამედ, „ასე ხომ არ აჯობებდას“ მოკრძალებული სურვილით, რაკიდა 850 წლის განმავლობაში რუსთაველის გენიალურმა პოემამ იმდენი გადამწერის და იმდენი საქმეში ჩაუხედავი გამომცემლის ხელში გამოიარა, რომ რაც დრო გადის, უფრო და უფრო ძნელი ხდება დადგენა, რომელი სტრიქონი (ან ფრაზა) იყო ავტორისეული და რა ჩაამატეს „კეთილისმსურველებმა“.

ლიტერატურა ■ References

1. არისტოტელე (2003). ნიკომაქეს ეთიკა. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. // *Nicomachean Ethics* 1096a11–15.
2. რუსთაველი შოთა (2016). ვეფხისტყაოსანი. თბილისი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა.
3. რუსთაველი შოთა (2017). ვეფხისტყაოსანი. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
4. რუსთაველი შოთა. ვეფხისტყაოსანი. სასკოლო ლიტერატურა. თბილისი: საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა.
5. რუსთაველი შოთა (2025). ვეფხისტყაოსანი. მამუკა თავაქარაშვილის ილუსტრაციები. თბილისი: „პერგამენტი“.
6. აბუანდაძე ანზორ (2025). „ვეფხისტყაოსანი“ შენთან ერთად: მოზარდთათვის (პოემის ტექსტი, პროზად გადმოცემული შინაარსი, მეცნიერული კვლევა). თბილისი: „პერგამენტი“.
7. რუსთაველი შოთა (2025). ვეფხისტყაოსანი (ლიმიტირებული გამოცემა). ტექსტი იბეჭდება 1966 წლის საიუბილეო გამოცემის მიხედვით. დასურათებულია წერეთლისეული „ვეფხისტყაოსნის“ მინიატურებით (XVII-XVIII სს.). პროექტის ავტორი და მთავარი რედაქტორი რუსუდან მოსიძე. თბილისი: „ფოლიანტი“.
8. რუსთაველი შოთა (2025). ვეფხისტყაოსანი. გამოცემას საფუძვლად დაედო შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი 1966 წლის საიუბილეო გამოცემის ტექსტი. რედაქტორი ზურაბ აბაშიძე. ბოლოსიტყ-

- ვაობა პარმენ მარგველაშვილის. ქეთი მატაბელის ილუსტრაციებით. თბილისი: „პალიტრა L“.
9. რუსთაველი შოთა (2024). ვეფხისტყაოსანი. ტექსტი იბეჭდება „ვეფხისტყაოსნის“ 1966 წლის საიუბილეო გამოცემის მიხედვით, მიხაი ზიჩის ილუსტრაციებით. თბილისი: „პერგამენტი“.
 10. რუსთაველი შოთა (2024). ვეფხისტყაოსანი. მიხაი ზიჩის ილუსტრაციებით. თბილისი: „ქართული“.
 11. რუსთაველი შოთა (2024). ვეფხისტყაოსანი. მიხაი ზიჩის ილუსტრაციებით. თბილისი: „არტანუჯი“.
 12. რუსთაველი შოთა (2023). ვეფხისტყაოსანი (ბრაილის შრიფტით). 4 წიგნად. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. თბილისი: „ტიფლოპოლიგრაფია“.
 13. რუსთაველი შოთა (2023). ვეფხისტყაოსანი. სერგო ქობულაძის ილუსტრაციები. ტექსტი ემყარება 1966 წლის მეცნიერებათა აკადემიის მიერ მომზადებულ გამოცემას. გამოიცა სსიპ იუსტიციის სახლის დაკვეთით. თბილისი: სტამბა „ფავორიტი“.
 14. რუსთაველი შოთა (2022). ვეფხისტყაოსანი. ტექსტი იბეჭდება 1966 წლის საიუბილეო გამოცემის მიხედვით, მიხაი ზიჩის ილუსტრაციებით. თბილისი: „პერგამენტი“.
 15. რუსთაველი შოთა (2022). ვეფხისტყაოსანი. სერგო ქობულაძის ილუსტრაციები. ტექსტი ემყარება 1966 წლის მეცნიერებათა აკადემიის მიერ მომზადებულ ტექსტს. თბილისი: „ბაკმი“ (დაიბეჭდა „პოლიგრაფიულ კომბინატში“ ქ. სტამბოლში, თურქეთი).
 16. რუსთაველი შოთა (2022). ვეფხისტყაოსანი. ტექსტის კომენტარებისა და ანალიტიკური გზამკვლევის ავტორი თამაზ ვასაძე. თბილისი: „დიოგენე“.
 17. რუსთაველი შოთა (2019). ვეფხისტყაოსანი. მიხაი ზიჩის ილუსტრაციები. თბილისი: Et cetera.
 18. რუსთაველი შოთა (2018). ვეფხისტყაოსანი. საიუბილეო გამოცემა. თბილისი: „ეროვნული საგანძური“.
 19. რუსთაველი შოთა (2018). ვეფხისტყაოსანი. აკადემიური გამოცემის მასალები. რედაქტორი პარმენ მარგველაშვილი. თბილისი.
 20. რუსთაველი შოთა (2016). ვეფხისტყაოსანი. ავალიშვილისეული ნუსხა, XVI-XVII სს. შოთა რუსთაველის დაბადების 850 წლისთავისადმი მიძღვნილი, საიუბილეო ფოტოტი-

- პური გამოცემა. თბილისი: კორნელი კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.
21. გიუნაშვილი ჯემშიდ, გიუნაშვილი ელენე (2016). შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ ირანში (კრებული). ტექსტი ქართულ და სპარსულ ენებზე. ეძღვნება შოთა რუსთაველის დაბადების 850 წლისთავს. საქართველო-ირანის სამეცნიერო-კულტურული ურთიერთობისა და თანამშრომლობის საზოგადოების გამოცემა. თბილისი: „უნივერსალი“.
 22. რუსთაველი შოთა (2015). ვეფხისტყაოსანი (სახელმძღვანელო მე-9 კლასის მოსწავლეებისათვის). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, განმარტებანი, კომენტარი და ლიტერატურული გარჩევა დაურთო ნოდარ ნათაძემ. თბილისი.
 23. რუსთაველი შოთა (2011). ვეფხისტყაოსანი. ტექსტის კომენტარების და ანალიტ. გზამკვლევის ავტორი თამაზ ვასაძე. თბილისი: „დიოგენე“.
 24. ნიკოლეიშვილი ავთანდილ (2009). საბავშვო „ვეფხისტყაოსანი“ (სკოლამდელებისა და უმცროსკლასელებისათვის). ქუთაისი: „ხომლი ენ“-ის სტამბა.
 25. რუსთაველი შოთა (2009). ვეფხისტყაოსანი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, განმარტებანი, კომენტარი და ლიტერატურული გარჩევა დაურთო ნოდარ ნათაძემ. რედაქტორი ალექსი ჭინჭარაული. გამოცემის რედაქტორი თამარ ჯავახიშვილი. მხატვარი ლევან სილაგაძე. თბილისი: „ანბანი“ (სტამბა „ფავორიტი“).
 26. რუსთაველი შოთა (2009). ვეფხისტყაოსანი. ტექსტი შედარებული 1957 წელს ალექსანდრე ბარამიძის, კორნელი კეკელიძისა და აკაკი შანიძის რედაქტორობით გამოცემულ „ვეფხისტყაოსანთან“. ლექსიკონი შეადგინა აკაკი შანიძემ. რედაქტორი დალი გერმანიშვილი. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
 27. რუსთაველი შოთა (2008). ვეფხისტყაოსანი. ტექსტი იბეჭდება 1966 წლის საიუბილეო გამოცემის მიხედვით. მხატვარი მიხაი ზიჩი. რედაქტორი ლია შარვაშიძე. თბილისი: „პალიტრა L“.
 28. რუსთაველი შოთა (2005). ვეფხისტყაოსანი. იოანე ავალიშვილისეული რედაქცია. მხატვარი დ. ჯაბუა. თბილისი: „ნეკერი“.

29. რუსთაველი შოთა (1992). ვეფხისტყაოსანი. მამუკა თავაქარაშვილის მინიატურები (XVII საუკუნე). თბილისი: „მერანი“.
30. რუსთაველი შოთა (2022). ვეფხისტყაოსანი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ნოდარ ნათაძემ. მხატვარი სერგო ქობულაძე. თბილისი: „განათლება“.
31. რუსთაველი შოთა (1991). ვეფხისტყაოსანი. ტექსტი იბეჭდება 1966 წლის საიუბილეო ტექსტის მიხედვით. სერგო ქობულაძის ილუსტრაციები. თბილისი: „ლაშარი“.
32. რუსთაველი შოთა (1990). ვეფხისტყაოსანი. თბილისი: „ნაკადული“.
33. რუსთაველი შოთა (1988). ვეფხისტყაოსანი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისია. თბილისი: „მეცნიერება“.
34. რუსთაველი შოთა (1986). ვეფხისტყაოსანი. მე-3 სასკოლო გამოცემა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, განმარტებები, კომენტარი და ბოლოსიტყვაობა დაურთო ნოდარ ნათაძემ. თბილისი: „განათლება“.
35. რუსთაველი შოთა (1986). ვეფხისტყაოსანი. რედ., შესავალი წერილი და ლექსიკონი სარგის ცაიშვილისა. ილუსტრაციები ლადო გუდიაშვილისა. თბილისი: „მერანი“.
36. რუსთაველი შოთა (1983). ვეფხისტყაოსანი. თბილისი: „ნაკადული“.
37. რუსთაველი შოთა (1976). ვეფხისტყაოსანი. მეორე შესწორებული და შევსებული სასკოლო გამოცემა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, განმარტებანი და კომენტარები დაურთო ნოდარ ნათაძემ. რედაქტორი ალექსანდრე ჭინჭარაული. თბილისი: „განათლება“.
38. რუსთაველი შოთა (1974). ვეფხისტყაოსანი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, განმარტებანი და კომენტარი დაურთო ნოდარ ნათაძემ. თბილისი: „განათლება“.
39. რუსთაველი შოთა (1966). ვეფხისტყაოსანი: ტექსტი ძირითადი ვარიანტებით, კომენტარებით და ლექსიკონებითურთ (ორ ტომად). აკაკი შანიძისა და ალექსანდრე ბარამიძის რედაქციით. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. თბილისი: „მეცნიერება“.
40. რუსთაველი შოთა (1966). ვეფხისტყაოსანი. შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავი. სარედაქციო კოლეგია:

- ირაკლი აბაშიძე, ალექსანდრე ბარამიძე, პავლე ინგოროყვა და სხვ. მამუკა თავაქარაშვილის XVII ს-ის ფერადი მინიატურები. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
41. რუსთაველი შოთა (1957). ვეფხისტყაოსანი. ილუსტრაციები მიხაი ზინის. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. თბილისი: „სახელგამი“.
 42. რუსთაველი შოთა (1956). ვეფხისტყაოსანი. ტექსტი გამოსაცემად დაამზადა, წინასიტყვაობა და საძიებლები დაურთო სოლომონ ყუბანეიშვილმა. რედაქტორი ალექსანდრე ბარამიძე. თბილისი: საქართველოს მეც. აკად. გამომცემლობა და სტამბა.
 43. რუსთაველი შოთა (1953). ვეფხისტყაოსანი. პავლე ინგოროყვას რედაქციითა და შენიშვნებით. თბილისი: საბჭოთა მწერალი.
 44. რუსთაველი შოთა (1951). ვეფხისტყაოსანი. სარედაქციო კოლეგია: ალ. ბარამიძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე. სერგო ქობულაძის ილუსტრაციები. თბილისი: „სახელგამი“.
 45. რუსთაველი შოთა (1938). ვეფხისტყაოსანი. ილუსტრაციები მხატვარ ირაკლი თოიძის ნახატებიდან. თბილისი: სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა და სტამბა.
 46. რუსთაველი შოთა (1937). ვეფხისტყაოსანი. წინასიტყვაობის ავტორი პავლე ინგოროყვა. ილუსტრაციები მხატვარ ირაკლი თოიძის ნახატებიდან. თბილისი: სახუნტის გამომცემლობა და სტამბა.
 47. რუსთაველი შოთა (1927). ვეფხისტყაოსანი: 2 სურათით, 1 ფაქსიმილეთი. 27-ე გამოცემა. სარგის კაკაბაძის რედაქტორობით. ტფილისი: ს.ს.მ.უ.ს. პოლიგრაფტრ. 1 სტ.
 48. რუსთაველი შოთა (1920). ვეფხისტყაოსანი: შინაარსის და ვრცელი ლექსიკონის დართვით. რედაქტორი დ. კარიჭაშვილი. თბილისი: წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამოცემა №201 (სტ. „სორაპანი“, მესტამბე მ. გაჩეჩილაძე).
 49. რუსთაველი შოთა (1899). ვეფხისტყაოსანი (სურათებით). ბათომი: ძმ. თავართქილაძეების გამოცემა №75 (კ. თავართქილაძის სტ.).
https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/207979/3/Vefxistkaosani_1899.pdf

50. რუსთაველი შოთა (1892). ვეფხის-ტყაოსანი (ავტორის სურათით). ოზურგეთი: გამოცემა კ. თავართქილაძისა №12 (მიქელაიშვილისა და თავართქილაძის ტიპოგრაფია).
51. რუსთაველი შოთა (1891). ვეფხის-ტყაოსანი შოთა რუსთაველისა (ავტორის სურათით). ოზურგეთი: გამოცემა ა. მიქელაიშვილისა და კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიისა №6 და მათივე სტ.
52. რუსთაველი შოთა (1890). ვეფხის ტყაოსანი. მეცხრე გამოცემა. თფილისი: ქართული წიგნის მაღაზიის გამოცემა №3 (სტ. გრ. ჩარკვიანისა).
53. რუსთაველი შოთა (1888). ვეფხის-ტყაოსანი. ილუსტრაციების ავტორი: მიხაი ზიჩი. ტფილისი: გამოცემული გ. ქართველიშვილის მიერ (ი. მარტიროსიანცის სტ.)
54. რუსთაველი შოთა (1887). ვეფხის-ტყაოსანი (ავტორის სურათით). გამოცემული გრ. ჩარკვიანისაგან. ტფილისი: გრ. ჩარკვიანის სტამბა.
55. რუსთაველი შოთა (1883). ვეფხის-ტყაოსანი. ქუთაისი: პეტრე გ. წულუკიძის გამოცემა და სტამბა.
56. რუსთაველი შოთა (1875). ვეფხის ტყაოსანი (ავტორის სურათითურთ). მეექვსედ დაბეჭდილი არსენ კალანდაძისა და ამხანაგობისგან. თბილისი: უმთავრესის სამმართველოს სტამბა.
57. რუსთაველი შოთა (1867). ვეფხის-ტყაოსანი (თქმულება შოთა რუსთაველისაგან). ტფილისი: მედიქიშვილის და კამბ. სტამბა.
58. რუსთაველი შოთა (1860). ვეფხის-ტყაოსანი (თქმულება შოთა რუსთაველისაგან, თამარ მეფის დროს). ახლად დაბეჭდილი დავით ჩუბინოვისაგან განმარტებითურთ. სანკტ-პეტერბურდი: სამეცნიერო აკადემიური სტამბა.
59. რუსთაველი შოთა (1937). ვეფხის ტყაოსანი: ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლისა. აღმდგენელი და წინასიტყვაობის ავტორი აკაკი შანიძე. თბილისი: სახუნტის გამომცემლობა (ტექნიკა და შრომას სტამბა).
https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/3238/1/Vefxistyaosani_1937_skanirebuli.pdf